ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5
შაბათი, 6 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 5
შაბათი, 6 იანვარი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 იანვარს.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 იანვარს, 1901 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ,

ბენეფისი
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

წარმოდგენილი იქნება

I
ბედნიერი დღე
კომედია 3 მოქ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

II
მე მინდა კნეინა გავხდე
კომედია 2 მოქ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

III
დივერტისმენტი
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ:
თავ. ი. ბარათაშვილი, ბ-ნნი დ. თუმანსკი და ადამიძე.

მონაწილეობას მიიღებენ: გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, ბ-ნნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

ვაუწყებ ჩემს მუშტარს,
რომ ჩემი პრიკაშჩიკი
ბახშო მოსეს-ძე ცერ-არაქელოვი

1-ლ იანვრიდგან **ჩემთან აღარა მსახურებს**. ამისათვის ვსთხოვ, ვისაც ჩემთან საქმე აქვს, პირადად მომმართონ.

ტფილისის მე-2 გილდის ვაჭარი გაბრიელ ზაქარიას ძე გოზალოვი.
(2—2—2)

---

3 იანვრის ღამეს უეცრად გარდაიცვალა
ეკატერინე თადეოზის ასული სკაროსელსკისა,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილნი და შვილიშვილნი.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველ დღე ნაშუადღევის პირველ საათსა და საღამოს 8 საათზედ.

მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ საკუთარის სახლიდგან კვირას, 7 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზედ.

წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება სოფელ საგურამოს, სადაც მიცვალებულს დაჰკრძალავენ რვა იანვარს. (1—4—1)

კვირას, 7 იანვარს,
კნეინა ბარბარე ანდრიას ასულის ავალიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (1—უ.—1)

შაბათს, 6 იანვარს 1901 წ.
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში
გამართულ იქნება
ბალი
ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის თანხის გასაძლიერებლად.

ბილეთი ღირს **2 მ. 10 კ.**

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (უ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
[illegible]

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ც. ე. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана
Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
[illegible]

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ფელეტონი

ებრაული მელოდია

ქურციკი
(ბაირონისა)

ქურციკი ლაღი, თავისუფალი,
დახტის სამშობლო ქვეყნის მთაღრეში,
თუ მოსწყურდება დამაშვრალს წყალი,
ცივს წყაროს დალევს დაბურულს ტყეში.
მისი თვალები ცეცხლის ზღვა არი;
მისსა სირბილსა არ აქვს საზღვარი.
მაგრამ ასულნი სიონისანი,
იმ მთებში ერთს დროს რომა ჰგალობდნენ,
უფრო იყვნენ ნაზ-ჰაეროვანნი
და თვალნი მათნი უფრო ბრწყინავდნენ.
გაჰქრნენ იგინი! აღარვინ ჰგალობს,
თუმცა კედრი-კი კვალად შრიალობს.
და თქვენ—სამშობლოს მთა-ბარს რომ ამკობთ —
და შიგ გაგიდგამთ ფესვი ძლიერი,
ოჰ, ბზანო! ბზანო! რად არ ამაყობთ,
თქვენ ხომ ჩვენზედა ხართ ბედნიერი,
თქვენ უცხოეთში არ წაილებით
და თუნდ წაგიღონ —არ აჰყვავდებით.
ჩვენ ვგევართ ფოთოლს ფერმიხდილს, დამჭკნარს,
ქარიშხლისაგან შორს, შორს წალებულს...
განუსვენია საც ჩვენს წინაპარს,
ვერ განვასვენებთ ჩვენ იქ მაშვრალს სულს...
შემუსრა მტერმა წმინდა ტაძარი
და სოლომონის ტახტი მაგარი.

ი. ბაქრაძე

◆◆

კიდევ ეშმაკის შესახებ

მ. გორკისა

ყოველივე ეს მოხდა ნათლი-ღების წინა ღამეს. თბილოდა; რძესავით თეთრ ბურუსს მოეცვა ქუჩები და დაეფარა ყოველი კარგიცა და ავიც. ერთის სახლიდგან მეორე არ განირჩეოდა. ბურუსით მოცულ ფარანთა გარშემო რაღაც მოჩვენებასავით გამოჩნდნენ უსხივოსნო წერტილები და ისე იდგნენ უძრავად, დედამიწას არ ანათებდნენ. სულის შემხუთველი მღვრიე ჰაერის ტალღები თავიანთის უსიცოცხლო უმოძრაობით, რაღაც სევდასა ჰგვრიდნენ ყველას; მათში ხალხი, როგორც მოჩვენებანი, ისე გაჩნდებოდნენ და გაჰქრებოდნენ ხოლმე; გეგონებოდათ, ყოველი ხმაურობა შევიწროებულია და, ასე გასინჯეთ, ზარის ხმაც-კი დამძიმებულა შიგ გამჯდარ ნამეტანის სინოტივითა და ისე სწრაფად და უძლურად იკარგება ბურუსში, რომ ვერავის ვერას აგებინებსო...

— ოჰ, კაეშანო, ჩემო ნიმფა ეგერია! რა მოხარული ვარ, რომ სიცივე შენის ხვევნა-ალერსისა აახლებს ჩემს სულს! როგორც ზაფხულის სიცხეში ელვა-ჭექის მომასწავებელი ღრუბელი კურთხეულ ნამით წყურვილს უკლავს ამ საბრალო მიწას, რომელსაც სურს მუდამ ყვავილებით იყოს შემკობილი, ისე შენ — ოჰ, კაეშანო! ალბობ ჩემს ობოლს გულს და შენის მეოხებით იფურჩქნებიან ჩემში სიძულილის ყვავილები, რომელთაც სძაგთ ეს ბურუსიანი, ცოცხალ-მკვდარი ცხოვრება, ეს უსულ-გულო ხალხი, მისი ქედმოხრილი მონანი...

ასე ამბობდა ეშმაკი და მის სიტყვებიდგან ყოველი გამჭრიახი გონებიანი კაცი, რა თქმა უნდა, დაინახავს, რომ ეს იყო, არამც თუ ნამდვილად არსებული, არამედ ერთი ჩვეულებრივ ეშმაკთაგანი. იგი დადიოდა ბურუსიანს ქუჩებში და ეძებდა იმისთანა სახლს, რომლის შესავალზედაც თირი ქვით გამოხატული ჯვარი არ იყო.

— აღარა ღირს ქვეყნად ცხოვრება, ჰფიქრობდა იგი: სულ აღარაფერი საქმე მაქვს აქ... ერთი სული არ არის ყურადღების ღირსი. მთლად კაცობრიობა უნიჭო შეიქმნა. ძალზედ დაქუცმაცდნენ... განსაკუთრებით ეხლა, როდესაც მათ შორის ახალი ძალით ჰყვავის ქადაგება თვისის თავის ყოველის მხრივ გაუმჯობესებისა და სურვილით ბრძოლის შესახებ. სულელები! ისინი ჰფიქრობენ, რომ კიდევ აქვთ რაიმე სურვილი და წადილი, როდესაც მარტო ავ-ხორცობა დარჩენიათ... მაგრამ, აი ჭუჭრუტანა, აქ არ სჩანს ჯვარი, რომელიც შესვლას მიშლის... შევალ! იქნებ ყურადღების ღირსი ვნახო რამე...

ეშმაკი იქცა თოვლის ფიფქად და, შეფრინდა-რა ჭუჭრუტანიდგან ოთახში, ჩუმად დაეცა სარკმლის ფიცარზედ.

სარკმელთან ტაბლა იდგა, ტაბლას მისჯდომოდა ივანე ივანეს ძე ივანოვი. იგი იყო „განათლებული, სულითა და გულით განვითარებული“ კაცი, ხელობად ჰქონდა—მისწრაფება სულიერ სისრულემდე მისვლისა, რომელიც მან ჩაინერგა თავისს არსებაში დღე და ღამ ნაცნობებთან განუწყვეტელ ბაასითა და იმ წიგნების კითხვით, რომლებიც სულს ამაღლებენ. რადგანაც ყოველივე ეს ნათლიღების წინა ღამესა ჰხდებოდა—ივანე ივანეს ძე იჯდა ტაბლასთან, დიდს ფიქრებში იყო გართული და სცდილობდა გაეგო, ამ ორის კვირის განმავლობაში რა ჩაიდინა კარგი და რა ცუდი. კაცი, რომელიც თავისს თავის განხილვას შესდგომია, ხშირად მიემსგავსება ერთის მხრივ ნარგიზს, მეორეს მხრივ—ბადეში ჩავარდნილს ბუზს. ამის გამო ივანე ივანეს ძემ ვერ შენიშნა: ვერც ჭუჭრუტანაში შეფრენილი თოვლის ფიფქი, ვერც ის, თუ როგორ იქცა ეს ფიფქი ეშმაკად.

ივანე ივანეს ძეს თვალები დაეხუჭა და ტანჯვით იგონებდა ერთს სურათს, რომელიც მას ერთხელ ენახა ჟურნალში და ეხლა წარმოიდგინა თავისს მეხსიერებაში: სურათი წარმოადგენდა ერთს უშველე-

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო: ნადვორნი სოვეტნიკობა—ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს მგელაძეს; კოლეჟსკი ასესორობა—ახალციხის ოთხკლასიან სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ბურჭულაძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა: კლასის დამრიგებელთა თანაშემწეებს ქუთაისის გიმნაზიისა—წერეთელს და ტფილისის გიმნაზიისა—წითლანაძეს და სიღნაღის სამკლასიან სამოქალაქო სკოლის მასწავლებელს—მირიანაშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ტფილისის პირველ სამკლასიან სამოქალაქო სკოლის [illegible] სოფლის—[illegible]ლაშვილს, სოფლის ორკლასიან სკოლების ზედამხედველთ: მარანისა—თოფურიძეს და ტამაკონისა—ბახტაძეს და წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელს—ბენაშვილს.

დამტკიცებულ იქმნენ: კოლეჟსკი რეგისტრატორის ხარისხში: ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოსამზადებელ კლასების მასწავლებელი ტაბუკაშვილი და ზუგდიდის ექვს კლასიან სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი ხოშტარია; კოლეჟსკი რეგისტრატორისა: ბარალეთის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებელი მიქელაძე და ეისკის ოთხკლასიან სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი მიქაბერიძე.

ახალი ამბავი

⁂ ორშაბათს, 8 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის გუბერნატორის ბინაზედ, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნ სვეჩინის თავმჯდომარეობით სხდომა ექმნება ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტს. განსახილველად კომიტეტს რამდენიმე საქმე აქვს.

⁂ კვირას, 7 დეკემბერს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო თეატრში, ქართულ კითხვათა სექციის მეთაურობით სცენის მოყვარეთა მიერ გამართული იქმნება სახალხო წარმოდგენა. წარმოადგენენ კომედიას „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“. დასასრულ დადგმულ იქმნება ცოცხალი სურათები ჩინელების ცხოვრებიდგან. წარმოდგენა საღამოს 7 საათზედ დაიწყება.

⁂ როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, [illegible] მაზრაში ესრედ წოდებულ ჰოტენტოტურ ბაღლინჯოსა და სხვა მწერებისაგან ისე გაფუჭდა ნათესობა, რომ თითქმის 40 სოფელს მოუსავლობა ეწვია. ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ჯერ-ჯერობით გაჭირვებულთ მხოლოდ 15,000 მანეთით აღმოუჩინათ შემწეობა. ეხლა ამ უმწეოთა მდგომარეობას მიწისძვრისაგან დაზარალებულთა მომხმარებელმა კომიტეტმა მიაქცია ყურადღება და ამის შესახებ ლაპარაკი აღძრა 29 დეკემბრის სხდომაზედ. რადგანაც კომიტეტს ამ საქმის შესახებ არავითარი დაწვრილებითი ცნობები ხელთ არა ჰქონდა, ამიტომ დაადგინა, შეჰკრიბოს ადგილობრივ ცნობები იმის შესახებ, თუ მოუსავლობისგან რამდენადაა დაზარალებული, რათა ამისდა მიხედვით დახმარება აღმოუჩინოს მათ.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მთავრობას კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ იმათ დასაჯილდოვებლად, ვისაც ჰირიან საქონელს დაუხოცავენ, 35,000 მანეთი იქმნას გადადებული.

⁂ 4 იანვრისათვის დანიშნული ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს სხდომა არ შესდგა. საკრებულოს ამ დღეს უნდა განეხილა ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილება ქალაქ ტფილისის სამ საარჩევანო ნაწილად გაყოფის შესახებ. სხდომა შემდეგ დროსათვის გადაიდო.

⁂ ხუთშაბათს, 4 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას ზოგიერთ მომდინარე საქმეების გამოსარკვევლად. სხვათა შორის კომისიამ განიხილა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მოხსენება მასწავლებელ ბ-ნ რცხილაძის განცხადების კომისიის მიერ ხელ-ახლად გასინჯვის შესახებ. კომისიამ დაადგინა, გარდაეცეს ეს განცხადება მცირე კომისიას, რომელმაც თავისი მოხსენება უნდა წარუდგინოს გამგე კომისიას იმის გამოსაკვლევად, თუ რამ აიძულა რცხილაძე თავისის თანამდებობისათვის თავი დაენებებინა.

⁂ 3 იანვრის სხდომაზედ გამგეობას დაუწესებია ნიხრი კამბეჩისა და ღორის ხორცზედ. ღორის ხორცი 1-ლ ხარისხისა გაიყიდება გირვანქა 14 კაპ., მე-2 ხარისხისა—11 კაპ. და მე-3 ხარისხისა—9 კაპ. კამეჩის ხორცის ნიხრს ერთი კაპეიკი დაუკლეს.

⁂ ტფილისის სააბანოსთან არსებულ ხაშის დუქნების პატრონები დათანხმებულან აძლიონ ქალაქს უოგედ წლიურად 720 მან. ქალაქის შენობით სარგებლობისათვის. სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორს მოხსენება შეუტანია გამგეობაში იმის შესახებ, რომ პირობით შეეკრან ამ მეხაშეთ და 1-ლ იანვრიდგან ახდევინონ იჯარის ქირა. გარდა ამისა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს საჭიროდ უცვნია ხაშის დუქნებთან გამართოს აუზი ქალაქის მილიდგან გაყვანილის წყლით, რომ დაკლულ საქონლის ხორცი გაირეცხოს და გაიწმინდოს ხოლმე თუ ეს აუზი არ გაიმართა, მეხაშეები იძულებულნი იქნებიან მტკვრის პირად რეცხონ ხორცი, რაიცა მავნებელი იქმნება ჯანმრთელობის მხრივ.

⁂ 3 იანვარს ქალაქის გამგეობისა და [illegible] შემდეგ კომისიას განუხილავს მოხსენება ბ-ნ ზეინალოვისა, რომელიც [illegible] გამგეობას ნავთლუხის სადგურიდგან მნაცკანოვის ხიდამდე ნავთის მილის გაყვანის ნება-რთვას. გამგეობას დაუდგენია, ნება დაერთოს ბ-ნს ზეინალოვს 12 წლის ვადით გაიყვანოს ნავთის მილი ნავთლუხიდგან მნაცკანოვის ხიდამდე, იმ პირობით-კი, რომ როცა გამგეობა მოითხოვს, დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნას ეს მილი.

⁂ ამავე სხდომაზედ გამგეობას ნება დაურთავს ბ-ნ აბოევისათვის, მირზოევის ძველი აბანოებიდგან გაიყვანოს გოგირდის წყლის მილი თავის აბანოსთვის, რომელიც რიყის ქუჩაზეა.

⁂ სამშაბათს, 9 იანვარს, ტფილისის სამხედრო ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად, სხვათა შორის, საქმე ბაშკადეკლიარის რაზმის პორუჩიკის ბ-ნ კონიაშვილისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენის ბრალი ედება.

⁂ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის ქალაქის გამგეობამ ნება დართო ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორს ბ-ნ რობის მამა დავითის მთაზედ ფუნიკულერის გაყვანისა; ამასთანავე გამგეობამ დაავალა ბ-ნ რობის, რომ მას ორის თვის განმავლობაში წარედგინა გამგეობისათვის განზრახულ ფუნიკულერის პროექტი. პროექტის გამგეობაში წარდგენის ვადა უთავდება ორშაბათს, 8 იანვარს.

⁂ 4 იანვრიდგან მოკიდებული ტფილისსა და იმის გარეშემო თოვლი მოდის. დიდი თოვლი დასდო განსაკუთრებით გუშინ დამ. ქალაქში მარხილებით დადიან.

⁂ 3 იანვარს, ღამის 12½ საათზედ, მეჟევოის ქუჩაზედ, ბეგიჯანოვის სახლში, საკუთარ სადგომში პოლიციას უნახავს მოკლულის ეფიმ ქილინსკის გვამი. როგორც

ბელს ცხოველს, რომელსაც კიბოსთვის კლანჭები მაგრად ჩაეჭიდნა და სჭამდა.

— აი, მეცა,—ჰფიქრობდა ივანე ივანეს ძე: მეც ისე ვარ, როგორც ის კიბო... ცხოვრება იმ ცხოველსავით მწოვს სისხლს. ვცდილობ დავძლიო მისი განმანადგურებელი გავლენა, ჩემი სურვილია შევიქმნა სრული ადამიანი, შევიმაგრო ჩემნი წადილნი და მოთხოვნილებანი... მას-კი თავისი გალესილი და საშინელი ბრჭყალები ჩაუცლია და მიმათრევს იქ, სადაც ათასნაირი გარყვნილება სდუღს, სადაც ადამიანს მხეცური მისწრაფება უღვიძდება და ყოველივე სიწმიდე უქრება... მთლად ჩემი ძალა, ჩემი ჭკუა იმას უნდა შევწირო, რომ ჩემგან გაკეთდეს იმისთანა ადამიანი, რომელიც, როგორც გამოხმობა ყოველს კეთილშობილს, სულისა და გულის აღმამაღლებელ გარემოებას თანაგრძნობით ეკიდება. მე უნდა დავიცვა ჩემი ღირსება და შევიქმნე პირადის უფლების გათახსირების წინააღმდეგ მამაცი მებრძოლი... ხოლო ყველა ამის მაგიერ... სამჯერ დავესწარ საცეკვაო საღამოს, რომელზედაც იკრიბება ხალხი, პირზედ დახატულ ქაღალდ აფარებული... ვიყავი სამიკიტნოში და, ასე გასინჯეთ... ქალიც დავიმონავე!..

მართალი რომ ვსთქვათ, კარგი იყო! ღმერთო, რა კარგი იყო!.. მაგრამ მაინც სხვისი ცოლი იყო... სხვისი ცოლი... რა სიმდაბლეა ჩემის მხრივ!

...თუმცა არც ეგრე უცხო იყო ჩემთვის... იგი ცოლია იაგორასი, ხოლო იაგორა-კი ჩემი ძველი ამხანაგია, ჩემი ერთგული მეგობარია... ჰო—ო! ეს გარემოება იქნება, ცოტა არ იყოს, ჩემს დანაშაულს ამცირებდეს, მაგრამ მაინც... მაინც!.. კიდევ კარგია, რომ ყოველთვის ვგრძნობ ჩემს ცოდვებს, ეს, ჩემივე აზრით, მაკეთილშობილებს... ძალიან სანუგეშოა!.. მაგრამ, ოჰ! ეშმაკო! რომ შემეძლოს ჩემის გულიდგან წადილთა და სურვილთა აღმოფხვრა და ამოგლეჯა!..

— სცადეთო, გაისმა ზრდილობიანი ხმა. თუ გსურთ, შემიძლიან დაგეხმაროთ...

ივანე ივანეს ძემ თავი უცბად მაღლა აიღო და შეხტა—ეშმაკის დანახვაზედ ადამიანი მუდამ შეხტება ხოლმე.

— მომიტევეთ... ვერ შევნიშნე, როდის შემოხვედით... თუ არა ვსცდები—მაქვს... პატივი ეშმაკის ხილვისა?!

— ნამდვილად, და გთხოვთ თამამად იყოთ,—უთხრა ეშმაკმა.

— ჰმ... ჰმ... რას მავალებთ სიამოვნებისთვის?..

— მე ისე, უსაქმურობის გამო შემოვედი თქვენთან. დღეს ხომ—ხომ იცით?—ნათლისღების წინა ღამეა და ჩვენ, ეშმაკებს, ამ დღეს ყოველ მხრიდგან გვრეკავენ. ქუჩაში ბურუსია, ნოტიო ჰაერია... წელს საძაგელი ზამთარია! და აი, რადგანაც თქვენ კაცურ-კაცად გიცნობდით...

ივანე ივანეს ძე დაიბნა. იგი ეშმაკის არსებობაზედ თავისს დღეში ხეირიანად არ დაფიქრებულა და ეხლა, როდესაც მას შესცქეროდა, თავს დამნაშავედ ჰგრძნობდა.

— ძალიან მოხარული ვარო!..—ამბობდა ის და დაბნევით იღიმებოდა.— იქნება მოსვენებით ვერა ხართ სარკმლის ფიცარზედ? გთხოვთ...

— ო, ნუ სწუხდებით! როგორც თქვენ, ყოველს გარემოებას მალე ვეჩვევი, რაც უნდა უხერხული და თუნდ სამარცხვინოც იყოს.

— ჰმ... ძალიან სასიამოვნოა!—სთქვა ივანე ივანეს ძემ და იფიქრა: ეს... გოროზის გულის პატრონი და შინაურად მომქცევი ყოფილა.

— ვგონებ, თქვენა სთქვით, რომ გულის გაწმენდა მსურსო, ჰა?

— ჰო... მოგეხსენებათ, კაცი, იმისდა მიუხედავად, რომ ჭკუა-გონებით წინ მიდის, ჯერ კიდევ უძლურია და მოთხოვნილებათა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუძლიან... მაგრამ—მომიტევეთ! მე თუ სმენამ არ მიმტყუვნა,—თქვენ ამ საქმეში შემწეობის აღმოჩენას შემპირდით...

— გითხარით და ვიმეორებ—მზად ვარ თქვენის სამსახურისთვის!

— მაგრამ, ეგ ხომ... თქვენის ხელობის წინააღმდეგია? გაუკვირდა ივანოვს.

— ე, ივანე ივანეს ძევ! წამოიძახა ეშმაკმა და ხელი გაიქნია. თქვენ გგონიათ, რომ მე-კი ჩემი ხელობა არ მომწყინდა?

— ჰო?

— რა თქმა უნდა! ხან-და-ხან კაცსაც-კი მოსწყინდება სისაძაგლის ჩადენა და სინანულს ეძლევა ხოლმე...

— რა იქნება მერე, რომ შემწეობა აღმომიჩინოსო?—ჰფიქრობდა ივანე ივანეს ძე. ეს ყველაფრის შემძლეა და უცბად შეუძლიან გადამაქციოს საუცხოვო ადამიანად. როგორ გაჰკვირდებიან ჩემი ნაცნობები...

— მაშ მითხარით, რა გაწუხებთო?—არ ეშვებოდა ეშმაკი.

— მაგრამ... იცით რა?.. უეჭველია, ძალიან ვიგრძნობ ტკივილს?!.

— ტკივილს ისინი იგრძნობენ, ვისაც გამაგრებული გული აქვთ, ვისაც გრძნობანი მთელი აქვთ და გულს მკვიდრად ჩანერგილი.

— მაშ მე?

— თქვენ—მომიტევეთ, მე ხომ როგორც მკურნალი, ისე გელაპარაკებით, თქვენ ისეთი გულ-ჩვილი ხართ, როგორც, მაგალითად, ფუყე ბოლოკი. როდესაც თქვენის გულიდგან სურვილთა და ვნებათ აღმოფხვრას დავიწყებთ, ისეთს ტკივილს იგრძნობთ, როგორსაც ჰგრძნობს ქათამი, როდესაც ბოლოს აგლეჯენ...

ივანე ივანეს ძე ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

— ნება მომეცით ვიცოდე, თქვენის სამსახურის ჯილდოდ ჩემს სულს ხომ არ მომთხოვთ?

ეშმაკი სარკმლიდგან იატაკზედ ჩამოხტა და ხელების ქნევით დაილაპარაკა:

— სულს? ო, არა! არა, გეთაყვა... არა მსურს... რა ბრძანებაა?!. ან რად მინდა? ე. ი.—მომიტევეთ!

— არ მინდოდა მეთქვა—არ მინდა მეთქი? ახ, ესე არა, ესე არა! მე მსურდა მეთქვა...

...ივანე ივანეს ძე ჰხედავდა, როგორ ჰღელავდა ეშმაკი და მან თავისი თავი შეურაცხ-ყოფილად იგრძნო.

— იმიტომ გკითხეთ, რომ საზოგადოდ თქვენში წესად არის მიღებული...

— ეგ უწინ იყო, როდესაც არსებობდნენ სულიარად საღნი და ძლიერნი...

— მგონი ჩემს სულს იწუნებთ...

— ო, არა! მაგრამ... მე ისე, დღეს მინდა, რომ უხვი ვიყო... და ამიტომ, აბა წარმოიდგინეთ, ჩემთვის განა საყურადღებოა არ არის ყოველისფრით სრული ადამიანი ვიხილო?

— ჰმ... მაშ ამბობთ, რომ არც მეტკინება და არც საშიშია?

— გარწმუნებთ! ჩემის შემწეობით თქვენი ყოველისფრით სრულ ადამიანად გადაქცევა ძალიან ადვილია... და, აი, არა გსურთ, ვსინჯოთ და აღმოვფხვრათ რამე თქვენის გულიდგან?

— ა... აბა ვნახოთ...

— კარგი!.. ყველაზედ ძალიან რა გაწუხებთ?

ივანე ივანეს ძე დაფიქრდა. იმის თქმა უეცრად, რომელი მოთხოვნილება უფრო ნაკლებ გვიყვარს სხვებზედ, ძალიან ძნელია.

— არა, გეთაყვა, პატარიდგან დაიწყეთ...

— სულ ერთია... რომლიდგან მიბრძანებთ?

ივანე ივანეს ძე გაჩუმდა. თუმცა იგი ხშირად სჩხრეკდა ხოლმე თავისს სულსა და გულს, მაგრამ, სწორედ ამიტომ, იქ დიდი ურიგობა ჰპოვა: ყველაფერი არეული იყო; თუმც დიდის მეცადინეობით ურევდა და ატრიალებდა აქეთ-იქით, მაგრამ, მაინც ვერა ჰპოვა-რა თავისს გულში ისეთი გრძნობა, რომ მოე-

ეტყობა, ბოროტ-გამზრახველთ სახლის გაქურდვა ჰქონიათ აზრად. პოლიცია უკვე შესდგომია ბოროტ-განმზრახველთა ძებნას.

◆

თეატრის მატიანე

(ანასტასია აბაშიძის ბენეფისი)

„ფული და ხარისხი“ 3 მოქმედ. კომედია აზიანისა და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი, ვოდ.-ხუმრ. 2 მოქმედ. გადმოკ. ა. ცაგარლისა.

ამ მესამე ქართულმა წარმოდგენამ, „ალლუმი“-დგან მოყოლებულმა, ჩვენში ის აზრი უფრო ძლიერად განამტკიცა, რომ თუ მსახიობნი მუყაითობასა და ცდას არ დაიშურებენ, ერთსულ და ერთგულ იქმნებიან საერთო ფერხულში,—ქართულის თეატრიდგან საზოგადოება ყოველთვის კმაყოფილი წავა; მაშინ მაყურებელს როდი-ღა ჩაექრება ის გამოურკვეველი გრძნობა, რომელიც ერთის მხრით ყურში იუდურად ჩასჩურჩულებს—„ჩვენი სცენის მოღვაწენი მასხარად გიგდებენ შენ, რომელიც მოსულხარ თეატრში, რათა დღიურ სიცხადისაგან სულით და ხორცით მოქანცულ-მოღალულმა რამდენისამე საათის განმავლობაში ჰპოვო ზნეობრივი კმაყოფილება და გონებრივი სიამოვნებაო“ და მეორის მხრით-კი იგივ გრძნობა თითქოს გეუბნება: „ჩვენ მსახიობთა შორის „ნიჭიერნი“ ალიკვეთნენო“.

მწვავეა, მეტად მწვავე ამგვარი გრძნობა იმ კაცისათვის, რომელსაც თანაგრძნობა ქართულ თეატრისა გულის ფსკერამდე ჩაჰლვენთებია, და რომელიც მას წმინდა ავგაროზსავით ატარებს. და როდესაც ჰხედავ ამის საწინააღმდეგო მაგალითს, გული ნეტარებით გევსება, სულს სიხალისე ემატება და ოცნებით დასევადებული თვალი სივრცეში მშობლიურ სცენის ბრწყინვალე მომავალს ეძებს...

გუშინ-წინდელი წარმოდგენა სწორედ ასეთი მაგალითი იყო და, დარწმუნებული ვარ, მაყურებლის გულიდგან მთლად განიდევნა ის პირქუში, გრძნობა-გონების მღრღნელი ეჭვი, რომელიც ზევით აღვნიშნე.

არა და კიდევ არა! როგორ აიგდებენ ჩვენი მსახიობნი აბუჩად ქართულ საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელიც გაფაციცებით ადევნებს თვალს თითოეული მათგანის ზრდასა, როგორათაც დედა თავისის პირმშოსას?! არა, როგორ ალიკვეთება ქართველთა შორის ის, „ნიჭიერების“ დამბადი ძლიერი ძალა, რომელმაც გვიშობა ქალთა შორის საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა და მამაკაცებში—აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი?!

ჩვენ გვწამს, რომ ნიჭიერნი მსახიობნი კვლავ მოგვევლინებიან, მხოლოდ საჭიროა მათთვის „გზა ფართო“ და გაბრძნობილი გულ-წმინდა ხელმძღვანელი, რომლის ზნეობრივ დროშაზედ წარწერილი უნდა იყოს მარტოოდენ: „ქართულის თეატრის კეთილ დღეობა“! და სხვა არა-რა...

მაგრამ ლირიზმმა გაგვიტაცა და გზა ავუქციეთ პირდაპირ საგანს რეცენზენტისას.

დავუბრუნდეთ-რა ამ გზასა, უნდა ვთქვათ, რომ მიზეზი იმ საერთო სიამოვნებისა, რომელიც გვაგრძნობინა გუშინდელმა წარმოდგენამ—თითქმის მთელი დასი იყო, მობენეფისე ქალისაგან დაწყებული უკანასკნელ მსახიობამდე. განსაკუთრებით-კი ფრთა-შესხმული იყო თამაშობა ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა, რომლის თითოეული სიტყვა-მოძრაობა გასხივოსნებულიყო მაღალის ნიჭითა და ხელოვნებით აღსავსე გადმოცემით.

თვით აზიანის კომედიის განხილვას ჩვენ ამ ახლო ხანში დავუბრუნდებით, რადგანაც ეს ნაწარმოები ყოვლად ღირსია ყურადღებისა.

მადლობის ღირსნი ბრძანდებიან ოპერეტის მსახიობნი: ქ-ნი ლელინა და ბ-ნნი კოშევსკი და ტუმანსკი, რომლებმაც პატივი სცეს ჩვენ თანამემამულე მსახიობს და წარმოდგენის დასასრულს დივერტისმენტში მიიღეს მონაწილეობა.

დასასრულ აღვნიშნავთ დრამ. საზოგად. გამგეობის საგულისხმოდ, რომ თეატრის ადმინისტრაცია თვალყურს არ ადევნებს წარმოდგენების დროს წეს-რიგსა: ხშირად მაყურებლები თავ-თავიანთ ადგილზედ არა სხედან და გასასვლელი ადგილები ბიჭ-ბუჭებით ივსება, რომელნიც მეტად უზრდელად იქცევიან.

ინ—ზენ

—

ქუთაისი, 30 დეკემბერი და 2 იანვარი.

ქ-ნის ტასო აბაშიძის ჩამოსვლამ ქუთაისელები გამოაღვიძა და თეატრში ბლომად მიიზიდა, რადგანაც, ჯერ ერთი, ტასო, რაც უნდა იყოს, სცენაზედ კარგი მოთამაშეა, მეორე, ქუთაისისათვის სტუმარია და, მესამეც, შვილი ჩვენის საყვარელ და ნიჭიერ არტისტებისა; ყველა ეს საკმარისი საბუთი იყო, რომ ქუთაისს მისთვის პატივი ეცა და წესიერად დახვედროდა. არც ტასო აბაშიძისამ გაუცრუვა იმედი აქაურებს და 30 დეკემბერს „ცელქებში“ თავისი როლი ცოცხლად და დაკვირვებით ჩაატარა, მხოლოდ ცოტა დაღლილობა და როლის უცოდინარობა ეტყობოდა; მაგრამ ამ უკანასკნელში აქაურებმაც არ გაუტეხეს ხათრი და როლის კოჭლობაში მხარი დაუჭირეს. გონივრადა და შნოიანად ჩაატარა თავისი როლი (გოლუბკინისა) ბ-ნმა აწყურელმა. კარგი იყო აგრეთვე გორლიცინის როლში ბ-ნი ბალანჩივაძე. ქ-ნს გვეტაძეს პეტიას როლში რაღაც უფერულობა ეტყობოდა; ეგ იმას უნდა მივაწეროთ, რომ იგი ტასო აბაშიძის გვერდით იჩრდილებოდა; მაგრამ ჩვენ კიდევ იმას ვეტყვით კერძოდ ქ-ნს გვეტაძესა და საზოგადოდ არტისტებს, რომ რაც უნდა გენიოსი უდგეს გვერდით, რაც უნდა გამოჩენილი კლასიკი თამაშობდეს მასთან, მან უნდა თავისი პატივისცემა და თავმოყვარეობა მის ნიჭზედ მაღლა დააყენოს, მისი იქ ყოფნა არ შეიმჩნიოს და თავისი არარაობა არ უნდა დაამტკიცოს, თორემ მჯობთა მჯობი არ დაილევა ქვეყანაზედ და მაშინ ხომ აღარავის ეცხოვრება ქვეყანაზედ.

ბ-ნმა მესხიშვილმა „შეშლილის წერილები“ წარმოადგინა გოგოლისა და საუცხოვოდ დაგვიხატა გონება-შერყეული ადამიანის სულიერი მდგომარეობა. შესანიშნავი იყო მისი სახის გამომეტყველების შეცვლა.

ამ საღამოსვე ითამაშეს „მათიკო“-ს ერთი მოქმედება. ოსეფას როლის შესრულებით ბ-მა აწყურელმა მაყურებელნი აღტაცებაში მოიყვანა.

ბოლოს დივერტისმენტი გამართეს, მაგრამ რომ არ გაემართათ, ისა სჯობა, რადგანაც მომიტებული საზოგადოება ვერ დააკმაყოფილა.

ბ-მა ფარცვანიძემ შუმანიდგან „დვა გრენადერა“ იმღერა. რაც შეეფერება ფარცვანიძის წლოვანებას (ჭაბუკია)—დიდი ბანი აქვს და თუ იგი წესიერად მოუვლის ხმასა და რიგიანად შეიმუშავებს, იმედია, ჩვენს მომღერლებში საპატიო ადგილს დაიჭერს. რაც შეეხება თვით რომანს, იგი ვერ იქმნა სისრულით შესრულებული, ნამეტნავად-კი დაეტყო გადაფერება იქ, სადაც გრენადერი ცოლ-შვილს, იმათ გაჭირვებას მთლად ივიწყებს, რადგანაც სხვა უფრო დიდი დარდი აქვს; ეს დარდი არის იმპერატორის ტყვედ ყოფნა.

მერე გამოვიდნენ სცენაზედ ლექსების მკითხველნი ქ-ნი ივანიძისა, ოქროპირიძე, ბ. ბ. ბალანჩივაძე, გრ. აბაშიძე და აბრველი, მაგრამ, რომ არ გამოსულიყვნენ (ბალანჩივაძის გარდა), ისა სჯობდა.

ქ-ნმა ივანიძისამ მშვენიერი ლექსი ი. ჭავჭავაძისა „ნანა“ რიგიანად ვერ წაიკითხა, თუმცა ზეპირად კარგად იცოდა. ქ-ნმა ოქროპირიძემ მშვენიერი ლექსი და მასთან გრძელი ისე ულაზათოდ წაიკითხა, რომ ბევრს ძილი მოჰგვარა. ბ-ნმა აბრველმა ორი ლექსი წაიკითხა, მაგრამ ორივე ისე ეშლებოდა და ავიწყდებოდა, როგორც პირველის კლასის მოწაფეს ლათინური გაკვეთილი. ასრევე ცუდად წაიკითხა ლექსი ბ-ნმა გრ. აბაშიძემ.

2 იანვარს საიუბილეო წარმოდგენა გამართეს: ითამაშეს გ. ერისთავის პიესა „გაყრა“. წარმოდგენა აპოთეოზით დაიწყო. სცენას წარმოადგენდა გ. ერისთავის სურათი, რომელსაც თავს ედგა ციურ ფერად მორთული ქ. ჩხეიძისა და გარს კიდევ ედგნენ არტისტნი ქუთაისის დასისა. ბ-მა ბალანჩივაძემ და აწყუ-

---

ლი ყოფილიყო, განსაზღვრული, და ან შიგ არაფერი ჰრეოდა.

— მოდი, თქვენის გულიდგან პატივ მოყვარეობას ამოვფხვრი. იგი ხომ დიდი არა გაქვთ...

— ჰო, კარგი!—ოხვრითა სთქვა ივანე ივანეს ძემ: ამოფხვერით...

ეშმაკი მიუახლოვდა, შეეხო ხელით მისს მკერდს და უეცრად უკან დაიწია. ივანე ივანეს ძემ იგრძნო, რომ მას ნემსივით რაღამაც უჩხვლიტა, ხოლო ეს ჩხვლეტა ისეთი სასიამოვნო იყო, თითქოს თითიდგან ეკალი გამოაძრესო.

— მართლაც-და სულ არ მეტკინაო... სთქვა მან და შეღავათი იგრძნო.—ნება მომეცი ვნახო, როგორი მქონია მე ეგ პატივ-მოყვარეობა...

ეშმაკმა გაუშვირა ხელი და იმის ხელის გულზედ ივანე ივანეს ძემ დაინახა რაღაცა უფერული, პატარა, მოხრუკული ნივთიერება, რომელიც მტვრის საწმენდ ტილოს მიემსგავსებოდა. დახედა ივანე ივანეს ძემ თავისს პატივ-მოყვარეობას, ამოიოხრა და ჩუმად წაილაპარაკა:

— იცით... როდესაც ვიგონებ, რომ ეგ, რაც უნდა იყოს, მაინც ჩემი გულის ნაწილია...—მებრალება!

— გინდათ, გინდათ გულიდგან მაგ სიბრალულსაც ამოგაცლით.

— ა—ა... უიმისოდ როგორღა ვიქნები?

— რა სარგებლობა მოაქვს?

— ეს, იცით! კარგი კაცობრიული გრძნობაა...

— მაშ კარგი, სიბოროტისას რაღას იტყვით.

— აი, ეს კი დაიკარგოს! წავიდეს ეშმაკთან! ო, მომიტევეთ...

— არაფერია... ნუ სწუხდებით...

ეშმაკი კვლავ შეეხო ივანე ივანეს ძეს მკერდს; მან ჩვეულებრივი ჩხვლეტა იგრძნო. და კვლავ ეშმაკის ხელის გულზედ იდო რაღაცა, რომელსაც სიმჟავის სუნი ასდიოდა და მტვრის საწმენდ ტილოს ჰგავდა...

— ჰო-ჰო,—სთქვა ივანე ივანეს ძემ და ცხვირი აფშლიკა: როგორი მქონია ის...

— მაგას ბევრი მშიშარაობა ურევია,—სთქვა ეშმაკმა.

— აი კიდევ რა... მაგრამ ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, ეს ყველა ჩემი გრძნობანი რად არიან ასე შედედებულივით?..

— თქვენი სვე-ბედი მაგ ნაირი ყოფილა, კეთილო, ივანე ივანეს ძევ,—სთქვა ეშმაკმა და ზიზღით დააგდო იატაკზედ თავისის ავადმყოფის გულის ნაჭერი.

— მე-კი ეხლა ჩემს თავს რაღაც განსაკუთრებულად ვგრძნობ,— დაუმატა ივანე ივანეს ძემ და თან ყური მიუგდო თავისსავე გულის ცემას.

— გესიამოვნათ?

— შეღავათი მომეცა... მკერდში უფრო თავისუფლებას ვგრძნობ...

— განვაგრძო საქმე?

— უარს არა ვარ...

— რა გაქვთ კიდევ?

— ჰა... სხვა და სხვა... საზოგადოდ ის, რაც ყოველს ადამიანსაც აქვს...

— მაგალითად, გაგულისება.

— ჰო, რასაკვირველია... გაგულისება, ჰო... ესე იგი, მართალი რომ ვთქვათ, ეგ გაგულისება კი არა, იცით... ეს რაღაც ძარღვების ნამეტანი მგრძნობელობაა... ხუსტურიანობა... შემაწუხებელი გრძნობაა...

— განვაძეო?

— უეჭველად! ხოლო ფრთხილად, გეთაყვა... მე იქ ცოტა არეული მაქვს... აი, ბოროტება რომ ამომგლიჯეთ, ვიგრძენ, რომ ამის გამო ჩემს გულში სირცხვილის გრძნობა შეიძრა.

— ეგ აგრეც უნდა ყოფილიყო, —სთქვა ეშმაკმა: თქვენ გრძნობათა ხილვის დროს, თქვენ მაგივრად, მე შემრცხვება ხოლმე... ძალიან უსუფთაოდ გაქვთ შენახული გული...

— მე რა, განა მე ვარ დამნაშავე? უკიჟინა ივანე ივანეს ძემ.—გული ხომ—კბილები არაა: კბილების საწმენდ ფხვნილით ვერ გამოიწმენდავ...

— ეგეც მართალია... აბა, განვაგრძო? ამოგართვათ თუ არა ძარღვების ის მეტი მგრძნობელობა?

— მზადა ვარ...

და მესამედ ეშმაკი ხელით შეეხო მისს მკერდს. როდესაც ხელი მოაშორა, ზედ აღმოაჩნდა გროვა რაღაც სუფუქ და უცნაურ ნივთიერებისა. ამ ნივთიერებას არა გვარი მოყვანილობა არა ჰქონდა, მყრალი სუნი ასდიოდა და ორფრად იყო შეღებილი: მომწვანო-ნაცრისფრად—მკვახე ნაყოფსავით და მუქ-შავმოწითალოდ დამპალ ნაყოფსავით. ეშმაკს მუჭაში ეჭირა ეს შედედებული, მთრთოლვარე გუნდა და გაოცებით დაჰყურებდა, სცდილობდა გაეგო, რა იყო იგი.

— ა-აბა, ივანე ივანეს ძევ, შეკრთომით ამბობდა იგი, ისე, რომ არ შეუხედნია მისთვის:—ამოგაცალეთ რაღაც... მაგრამ, რა? არ ვიცი... ამ ოცდა ათ წელში ძალიან საუნჯე კი შეგიგროვებიათ თქვენს გულში. მგონი, აქ ვერც ერთი ქიმიკოსი ვერას გაარჩევს... ეხლა-კი, განთავისუფლდით რა ამ... სენისაგან, წმიდა იქნებით, ვით ანგელოზი.,. რა ყოჩაღი მკურნალი ვარ, ჰა? არ მეგონა, თუ ამისთანა ოსტატი ვიყავი... ახლა, რა? მოგილოცავთ ივანე ივანეს ძევ, სულის განწმედას... სრულ ადამიანობამდე მიღწევას. არა, დარწმუნებული ვარ,—ეხლა უკვე სრულიად სრული ხართ?

აქ ეშმაკმა იატაკზედ დააგდო ხელში ნაჭერი ნივთიერება, შეხედა ივანოვს და—გაჩერდა.

ივანე ივანეს ძე როგორღაც დასუსტდა, მოიკაკვა, თითქოს ძვლები გამოაცალესო. პირდაღებული იჯდა სკამზედ და მისს სახეზედ ბრწყინავდა ის სიტყვით გამოუთქმელი ნეტარება, რომელიც კუთვნილებაა ბუნებრივ სულელებისა.

— ივანე ივანეს ძევ!—წამოიძახა ეშმაკმა და მისს სახელოს ხელით შეეხო.

— ა...

— რა დაგემართათ?

— ო...

— ჰგრძნობთ რასმეს?

— უ...

— ცუდადა ხართ?

— ე...

— აი, საკვირველი ამბავი! გონება-დაბნევით წამოიძახა ეშმაკმა: დავიჯერო, არსებობა მთლად გამოვაცალე? ივანე ივანესძევ!

— ა...

— სწორედ ასეა! მარტო შორისდებულნი-ღა დარჩა ამ ადამიანს და ისინიც სრულიად უშინაარსონი... რაღა უყო ახლა?

ეშმაკმა ივანე ივანეს ძეს მკერდზედ ხელი დაუკაკუნა და ცარიელ კასრის ხმა მოესმა; თავზედ დაუკაკუნა—ისიც ცარიელი იყო.

— აი, სრული კაცი! ეჰ, შე საბრალოვ! დაგაცარიელე... მაგრამ მე განა ვიცოდი, რომ შენ ეგრე მარტო ცუდის თვისებანით იყავი სავსე? მაგრამ ახლა რაღა ვქნა!

და ეშმაკი ჩაფიქრდა. თან მისჩერებოდა უძრავ, ნეტარებით სავსე სახეს ადამიანისას, რომელმაც თავისს საწადელს მიაღწია.

— ოჰო!—წამოიძახა მან და თითებით გაატლაშუნა.—აი აზრი! სატანაც კმაყოფილი დარჩება... სანაქებო რამ მოვიგონე!

ამ სულელს ჯერ გავაშრობ, მერე შიგ მუხუდოს ჩავყრი... და იშვიათი ჩხარუნა გაკეთდება სატანას გასართობად...

ეშმაკმა სკამიდგან აიყვანა ივანე ივანეს ძე, დააგორგოლავა, ამოიხარა იღლიაში და განქრა ოთახიდგან...

ბურუსი უკვე განიბნია და სარკმლებში ზამთრის დანაღვლიანებული მზე იცქირებოდა მკრთალის თვალებით... ცარიელს ოთახში ქუჩიდგან შემოდიოდა სადღესასწაულო ნელი ხმა ზარისა, ოხრავდა და დნებოდა შიგ...

ვანო გიუნაშვილი

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელმა დროს შესაფერი ლექსები წაიკითხეს. მუსიკამ ფარდის ახდისას და დახურვისას „მრავალჟამიერი“ დაუკრა.

რაც შეეხება თამაშობას, პიესა კარგად ჩაატარეს. კარგი იყო საზოგადოდ ბ-ნი ჩარკვიანი ახალგაზრდა-ნასწავლი თავადიშვილის როლში; ნამეტნავად თავი იჩინა მან მესამე მოქმედებაში, სადაც იგი ამხილებს მედიატორეს უსამართლობაში. სომხის როლი ბ-მა აწყურელმა შეასრულა და ყველა მოქმედებებში კარგი იყო. ამისი ცოლის როლი შეასრულა ქ-მა ივანიძისამ და კარგადაც ჩაატარა. ბ-ნი ქელიძე მოხუც თავადიშვილის როლში, პირველ მოქმედებაში, კარგი იყო, მხოლოდ მონოლოგი ძალიან მაღლა დაიწყო. გონივრად ჩაატარა თავისი როლი ბ-მა ბალანჩივაძემ (პავლე), მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ კილოსა და ენას არ ეღალატნა. დანარჩენებიც თავიანთ როლებში კარგნი იყვნენ და ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

გ. საყვარელიძე

დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

საჩხერე, 2 იანვარი. 30 წარსულს დეკემბერს კნიაჟნა თინათინა ანემპოდისტოს ასულმა მაჩაბელმა და კნიაჟნა თამარა გიორგის ასულმა წერეთელმა საჩხერის ერთ კლასიან სასოფლო სკოლის მოსწავლეთ შობის ხე (იოლკა) გაუმართეს და ბუნდოვანი სურათები უჩვენეს. ბუნდოვანი სურათები ბ-ნმა დავით ნიკოლოზის ძემ აბაშიძემ უჩვენა. რვა საათზედ მოსწავლენი და მოწვეული პატარა სტუმრები თავისის მშობლებით ზემო სართულში იქმნენ მიწვეულნი, სადაც მათს თვალებს მშვენივრად მორთული და განათებული შობის ხე იტაცებდა. ბავშვების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: შემოეხვივნენ ამ მათთვის იშვიათს სანახავს ხესა და მორთეს სიმღერა. როდესაც ყველანი ცქერით დასტკბნენ, გაისმა ტკბილი თარისა და ზურნის ხმა, რომელნიც ამ საღამოსთვის აქაურმა ახალგაზრდობამ საგანგებოდ მოიწვია. ამას შემდეგ ცეკვა მოჰყვა.

რადგანაც ბავშვები შორს სოფლებში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ათ საათზე ყველას ტკბილეულობა და საჩუქრები დაურიგდა. 85 მოსწავლემ სათითაოდ მიიღო კანფეტები და ხილეულობა; ამას გარდა მათ შორის 53 ღარიბმა გლეხის შვილმა მიიღო თბილი ტანისამოსი; მოწვეულმა გარეშე ბავშვებმა მიიღეს ტკბილეულობასთან ერთად სხვა-და-სხვა სათამაშოები.

ამ სკოლის მოსწავლეებმა შობის ხე ეს მეორედ ნახეს. ამ ორის წლის წინად პირველად ასეთივე საღამო კნეინა სოფიო ევარისტოს ასულმა მაჩაბელმა გაუმართა. ეს სამაგალითო საქმე ჩვენს კუთხეში, როგორიც კნეინა ს. ე. მაჩაბლისა და დღეს კნიაჟნა თინათინა ანემპოდისტოს ასულის მაჩაბლისა და კნიაჟნა თამარა გიორგის ასულის წერეთლის მეცადინეობამ გვიჩვენა, იმედია, აქაურს გლეხებსა და მათს შვილებზედ კარგს გავლენას იქონიებს, რომელნიც იმერეთის სხვა კუთხესთან დაბლა სდგანან შედარებით სწავლა-განათლებით. ვუსურვოთ, რომ ამ პატივცემულ მოთავეებს შემდეგშიაც ყურადღება არ მოეკლოთ და მიმბაძველნი აღმოსჩენოდნენ.

ზემოური

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ლონდონიდგან იუწყებიან: ჯერ ხომ ხმა გავრცელდა, ვითომ ბურები თითონვე სცდილობენ მორჩილება გამოუცხადონ ინგლისსაო, ახლა სულ სხვას ამბობენ და დიდადაც შიშობენ, ეს ხმა მართალი არ გამოდგეს: როგორც ხმა გავრცელდა, ბურების ახალი გეგმა აღმოუჩენიათ, ვითომ განზრახვა ჰქონდეთ კაპშტადტში ზღვის ქვიშიან ნაპირიდგან შევიდნენ; აი მიზეზიც თურმე ეს არის, რომ ინგლისის მოხელეებმა კაპის ახალშენში განკარგულება მოახდინეს, რომ საზღვაო არტილერია და ფლოტის ჯარის-კაცნი ნაპირზედ გადმოესხათ და კაპშტადტის მახლობლად ზღვის მხრივა და ხმელეთიდგან სიმაგრეები აეშენებინათ. შესანიშნავია, რომ ინგლისელები აქამდე კრიუგერს უსაყვედურებდნენ, განზრახვა რად გაქვს, რომ ტრანსვაალის მდვიმე-მადაროები ააფეთქოო და ახლა-კი, როცა შიში ნახეს, თითონ თურმე ჩააწყვეს ნაღმები და აცხადებენ, რომ ბურების მოსაგერებლად უთუოდ ააფეთქებენ, როგორც-კი ამას საქმეთა გარემოება მოითხოვს.

აგერ ეს-კია ამბობენ, ვითომ კაპის ახალშენში გადასულ ბურების უფროსს გერცოგს თავისი ბანაკი კაპშტადტიდგან 75 ვერსის მანძილზედ დაუცეს. თითქმის შეუძლებელია, რომ ბურებმა ინგლისელები სამხრეთ აფრიკიდგან გამოდევნონ, მაგრამ ინგლისელები ამას შესაძლებლადა სთვლიან. პოლიტიკურს წრეებში კიტჩენერის ახალს სისტემას ბრძოლისას, რომლითაც განზრახული აქვს ორანჟესა და ტრანსვაალის რესპუბლიკაში გაბნეული ჯარი შეჰკრიბოს და ზღვისაკენ მიმავალ გზების უმთავრესს ადგილებში ჩააყენოს, დიდად ჰკიცხავენ. ქალაქებისა და დაბების დაცვით კიტჩენერი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების მთელს ტერრიტორიას ინგლისი ვერ დაიჭერს; ეს არა კმარა: ფაქტიურად უარ-ჰყოფს ოფიციალურს გამოცხადებას, რომ რესპუბლიკები ინგლისმა შეიერთა. ვისაც რომ სამხრეთ აფრიკაში მყოფი ინგლისის მხედრობა კარგადა ჰყავს გაცნობილი, ყველანი ერთ-ხმად აღიარებენ, რომ კიტჩენერის ახალი სისტემა ჯარის-კაცთა და ოფიცრების დაღლილობით არის გამოწვეული, რომელთაც ომის მძიმე პირობების ატანა აღარ შეუძლიანთ; როდესაც ჯარებს თავს რამდენსამე ადგილას მოუყრიან, მაშინ ჯარის-კაცებსა და ოფიცრებს დასვენება შეეძლებათ, ერთმანერთს ხშირად გამოსცვლიან. ამავე დაღლილობით აიხსნება ის, რომ აგერ რამდენი ხანია ზღვა ჯარი ინგლისელებისა მტერს ვეღარ ეწინააღმდეგება, უმოქმედოდ არის.

გერმანია. ბერლინიდგან იუწყებიან: როგორც ხმა დადის, გერმანიის მთავრობას ამ ჟამად ლონდონელ და ნიუიორკელ ბანკირებთან მოლაპარაკება თურმე აქვს, რომ 600 მილიონი მარკა ისესხოს. ამ ხმამ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როგორც გეხსომებათ, იმპერატორმა ვილჰელმმა აღუთქვა, რომ ათასს ტაელს გადვიხდი თითო კაცში, რომელიც კი ჩინელთაგან ქმნება გადარჩენილიო. ამბობენ, სამი მილიონი მარკა უკვე მიცემულიაო. ამ დღით რედაქციებს მოსვენება არა აქვთ და ყოველ მხრიდგან ეკითხებიან, მართალია თუ არა გავრცელებული ხმაო. ხალხი დიდათ აღელვებულია. მთავრობის განმარტებას დღე-დღეზედ მოელიან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბები

დედამიწაზედ ახალი არაფერია. ტელეფონი ხომ ახალი გამოგონილია, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ეს ახლად გამოგონილი მანქანაც-კი არსებობდა ამ 2000-3000 წლის წინად. ამის შესახებ ერთ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში საყურადღებო წერილია თაბეჭდილი. ინგლისელ აფიცერს ინდოეთში აღმოუჩენია ტელეფონის მავთული, რომლითაც ორი ძველის-ძველი ტაძარი ყოფილა შეერთებული. ამას გარდა ეგვიპტეშიაც უპოვნიათ ისეთი უძველი ნიშნები, საიდგანაც აშკარადა სჩანს, რომ პირველ დინასტიათა ეგვიპტელნი ერთმანეთ შორის მავთულის შემწეობით ლაპარაკობდნენ.

* * *

როგორც რუსული გაზეთი „Восточ. обозр.“ გადმოგვცემს, ციმბირში, ლამუტებს შორის, დღესაც ჰყიდიან და ყიდულობენ თურმე ქალებს ისე, როგორც წინად მონებსა ჰყიდდნენ. „ლამუტის ქალებით ვაჭრობა, მოგვითხრობს გაზეთი, ანიუსის იარმუკაზედ სულ ბოლოს დროს მოისპო. ამ შვიდის წლის წინად ერთმა ადგილობრივმა მოქალაქემ 20 მანეთიან ლატარიაში ჩააგდო 10 მანეთად ნაყიდი ლამუტის ქალი. ეხლა, როდესაც პოლიციამ ყურადღება მიაქცია, პირდაპირ გაყიდვის ნაცვლად საქმეს სხვა რიგად აჩერხებენ. აი ნიმუში ხელ-წერილისა, რომელსაც ქალის გამყიდველი და მყიდველი სდებენ ერთმანეთში: „იუკაგირის ესა და ეს საზოგადოება აძლევს ამა და ამ ქალს 5 წლით, იმ პირობით-კი, რომ ქალს ხუთის წლის განმავლობაში გათხოვების ნება არა აქვს“.

* * *

ლონდონში ქუჩებში მოსიარულე სამზარეულო შემოუღიათ. ეს სამზარეულო დიდ სარგებლობას უწევს თურმე ყველას, ვინც შინ არ ამზადებს საჭმელს. ბევრმა ოჯახმა სულ მიანება თავი შინ საჭმელის მზადებას და ამ სამზარეულოთი სარგებლობას შეუდგა. სამზარეულო წარმოადგენს ორ დიდ ფეჩს, ურემზედ დადგმულს, ურემში ორი ცხენი აბია. ამ ურმით ცხელ-ცხელი საჭმელი დააქვთ. თვით საჭმელებს ამზადებენ ვესტმინსტერის სასახლის ბაღში გამართულ სამზარეულოში. ეს სამზარეულო სამაგალითოთ არის მოწყობილი. სისუფთავე სანაქებოა. ჯერ-ჯერობით მომზადებულ საჭმელით დატვირთული ურემი ვიქტორიისა და სხვა მახლობელ ვიწრო ქუჩებში დადის. 4 თავისაგან შემდგარი საუზმე სულ 65 კაპეიკადა ჰღირს, ხოლო 5 თავისაგან შემდგარი სადილი—90 კაპეიკი; სურვილისამებრ თითო თავის ყიდვაც შეიძლება. ჭურჭელს, სალფეტკებს, დანა-ჩანგალს, სუფრას თვით სამზარეულოს პატრონნი ურიგებენ იმათ, ვინც სადილსა ყიდულობს.

* * *

ამას წინად რუსულ გაზეთის „Новое Время“-ს რედაქტორ-გამომცემელს ა. სუვორინს თავისი ქალი მიუთხოვებია მიასოედოვ-ივანოვისათვის. მზითვად სუვორინს თავისის გაზეთის განცხადებათა ერთის სვეტის შემოსავალი მიუცია. „Нов. Вр.“-ში ყოველთვის დიდ-ძალი განცხადება იბეჭდება, ხან ორი-სამი თაბახია ხოლმე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 იანვარი

პეტერბურგი. 4 იანვარს ხელმწიფე მემკვიდრე პეტერბურგიდგან ორლოვის გუბერნიაში წაბრძანდა. მისს იმპერატორებით უმაღლესობას გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მიჰყვება.

იოჰანნესბურგი. ხმა დადის, რომ დევეტი მდინარე ვაალზედ გავიდაო და მას შეუერთდნენ ტრანსვაალის ბურთა რაზმებიო. გვიან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ცურფონტეინსა და კალფონტეინთან იერიშის მიტანის შემდეგ ბურებმა დაიწიეს დიდის ზარალითაო. ჰფიქრობენ, რომ ბურთაგან 60 კაცია მოკლული და დაჭრილიო.

კაპშტადტი. ბურები შეესივნენ ებერდინს 4 მილის მანძილზედ გრაფრეინეტის სამხრეთით.

ბულვერჰმპტონი. აქაურს სავაჭრო პალატაში როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ სავაჭრო პალატები უნდა შეადგენდნენ მეთვალყურე კომისიებს და მოსამზადებელი თადარიგი გასწიონ მოახლოვებულ დიდ საერთაშორისო სავაჭრო ცილობისათვის. ინგლისის ერი უშიშრად მიდის მომავალისაკენ, რომელიც გამოურკვეველია. მთელი ევროპა შეიარაღებულია. მილიონები იხარჯება სამხედრო ცდა-გამოკვლევათათვის, რომელსაც საომარი მეტი არა მოსდევს-რა. ის ფული, რომელიც იხარჯება ახალის მიწა-წყლის შესაძენად ომის საშუალებით, გაცილებით უფრო მეტია დაპყრობილ ქვეყნის ღირებულებაზე.

ამისთანა გარემოებაში არც ერთი სახელმწიფო არ დაიწყებს ომს მიწა-წყლის შესაძენად. ამიტომ იმედი მაქვს, რომ თუ კრიზისი დადგა, ომის შესახებ ხმას არავინ დასძრავს, ვინაიდგან ომი უმეტესად გამოწვეულია გულის თქმისაგან. სავაჭრო სამრეწველო საქმენი, რომელიც შეკავშირებულია ერთა კეთილდღეობასთან, დაფუძნებულია გონებაზედ. როზბერმა დაასკვნა, რომ ვიდრე გონება ხელმძღვანელობს ერთ, ომი ძნელად მოსალოდნელია. შემდეგ საუბარში ლაპარაკი ეხებოდა მხოლოდ სამრეწველო საქმეში გაწეულ ცილობისა და მეტოქობის შესახებ. ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია იქნებოდნენ ინგლისისათვის უფრო საშიშარი მეტოქენი. როზბერმა ორივე ქვეყანას საშართლიანად იხსენიებს და შემდეგ მხნედ წააქეზა ინგლისი საკომერციო-სატეხნიკო სწავლის საშუალებათა გაუმჯობესების საქმეს.

5 იანვარი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დაამტკიცა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არხიმანდრიტი ჰერმოგენი ვოლსკის ეპისკოპოსად, სარატოვის ეპარქიის ვიკარად.

მატჩისფონტეინი. ასამდე ბური შევიდა ჰედერლანდში, შესწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები და დუქნები აიკლეს.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან, რომ სამი ათასი ბური შეერთდა კაროლინებთანაო. კოლვილის მსწრაფლ მოსიარულე რაზმს ვენტსრუდერეგსკასთან ბრძოლა ჰქონდა ბურებთან, რომელთაც დიდის ზარალით დაიწიეს უკან. გუშინ სამასი ბური შევიდა ებერდინში, გრაფ რეინეტის სამხრეთ დასავლეთით, და დუქნები აიკლეს. ასი ქვეითი ჯარის-კაცი და რამდენიმე ცხენოსანი მოვიდა ქალაქში შუადღის შემდეგ; იმათ მოსვლისათანავე ბურებმა დაიწყეს.

სტანდერტონი. სტეინი, აქაურ მიდამოს ბურების რწმუნებული, გაგზავნილი იმ აზრით, რომ თავისს თანამემამულეებს ურჩიოს დამორჩილება, დაპატიმრებულია და პიეტრეტიფში გაგზავნილი. ბრალად სახელმწიფო ღალატი ედება.

ლონდონი. ხმა დადის, რომ ცეილონიდგან რამდენიმე სამხედრო ტყვე გაიქცაო.

კაპშტადტი. შიშიანობის დროის წეს-რიგი იქმნა გამოცხადებული ყველა ოლქში, კაპშტადტისა, სიმონსტოუნისა, ბინბერგისა, პორტ-ელიზაბეტისა, ისტ-ლონდონისა, ტრანსკესა, ტიმბულანდსა და გრიკუალანდოსტეს გარდა. მოწოდებაა გამოქვეყნებული, რომლითაც კაპლანდის ყველა მკვიდრთ, მოხელეთა და სამხედრო წოდების კაცთა გარდა, აღკრძალული აქვთ იარაღი და სამხედრო სამზადისი იქონიონ. თუ აქვთ იარაღი, ადგილობრივს მთავრობას უნდა გადასცენ 19 იანვრამდე.

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო რუსული წიგნები: 1, „Ингуши“, ანტროპოლოგიური მიმოხილვა, დოქტორის ი. ი. პანტიუხოვისა. წიგნი 34 გვერდს შეიცავს და ჰღირს 25 კაპეიკად. 2, „Алкоголизмъ на Кавказѣ“, მისივე. პატარა წიგნაკია, შეიცავს 22 გვერდს.

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები.:

9 იანვარს:

სოლომონ კომეშავიძისა, რომელსაც ქურდობა ჰბრალდება.

კესარია გრიგოლაიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1656 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ლევან ჯალაღონიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1454 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ნიკოლოზ მაღლაკელიძისა, რომელსაც სასჯელთა დებ. მე-1525 და 1526 მუხ. აღნიშნული დანაშაულობათა ჩადენის ბრალი ედება.

განცხადებანი

ქ. ფოთში
იყიდება
ერთ ეზოში მდებარე ორი ქვის მაღაზია და ერთი სახლი, რომელთაც წელიწადში ათასი მანეთი წმიდა შემოსავალი მოაქვთ. ზომა მიწისა 238 ოთხ-კუთხი საჟენია. ფასის შეტყობა შეიძლება ქ. ფოთს, ევგენ მიხეილის ძე გაბუნიასთან.
(3—277—1)

„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი საყმაწვილო წიგნები:
კაპ.
საყმაწვილო მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა . . . 30
ივანნამ რა ჰქმნა, ცხრა სურათით, ი. გოგებაშვილისა 5

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Января 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე